



საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო



საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო

საყურადღებო!

- მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, რკინის პრეპარატის სწორი დოზირების შერჩევის მიზნით, ორსულს უტარდება ანემიის განმეორებითი სკრინინგი.
- რკინის პრეპარატის უსასყიდლოდ მიღების უფლების გასაგრძელებლად, ორსულმა ან მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს განახლებული ფორმა NIV-100/ა, მედიკამენტის შენარჩუნებული ან კორექტირებული დღიური დოზის მითითებით.
- ანტენატალური ვაუჩერის მქონე ორსულს, განმეორებითი სკრინინგისას ექიმის კონსულტაცია და ჰემოგლობინის კვლევა სრულად უფინანსდება მესამე-მეოთხე ანტენატალური ვიზიტის ფარგლებში.
- 13 კვირამდე ორსულობის შეწყვეტის შემთხვევაში, ორსულს შეუძლია გააგრძელოს ფოლიუმის მჟავის მიღება აფთიაქიდან გატანილი მარაგის ამონურვამდე.

აფთიაქების მისაპარტაპი იხილეთ
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ვებ-გვერდზე www.moh.gov.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის
დარეკეთ ცხელ ხაზზე



ორსულთა უზრუნველყოფა ფორმის განახლებით



რკინადაფიცობური ანემიის გამოწვეული ორსულთა უზრუნველყოფა რკინის პრეპარატებით



სოციალური მომსახურების სააგენტო



რას გულისხმობს პროგრამა?

პროგრამა გულისხმობს ყველა ორსულის უზრუნველყოფას ფოლიუმის მჟავით 13 კვირამდე და რკინადეფიცითური ანემიის დიაგნოზის შემთხვევაში, რკინის პრეპარატით ორსულობის 26-ე კვირიდან.

ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?

პროგრამის მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქე ყველა ორსული.

როგორ უნდა მიიღოს ორსულმა ფოლიუმის მჟავა პროგრამის ფარგლებში?

ორსულობის დადასტურების შემთხვევაში:

- ორსული მაქსიმალურად ადრეულ ვადაზე მიმართავს ანტენატალური მეთვალყურეობის მიმწოდებელ დაწესებულებას;
- დაწესებულების ექიმი განსაზღვრავს ფოლიუმის მჟავის საჭირო რაოდენობას, ავსებს ფორმა N IV-100/ა-ს და გამონერს რეცეპტს;
- ამის შემდეგ ორსულმა და ან მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ან სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს დედაქალაქისა და ქვეყნის მასშტაბით, დარეგისტრირდეს ვაუჩერის მიმღებად, რაც ავტომატურად ანიჭებს ორსულს ფოლის მჟავის უსასყიდლოდ მიღების უფლებას;
- ვაუჩერის მისაღებად, ორსულმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ნდობით აღჭურვილი პირის შემთხვევაში – ორსულისა და ნდობით აღჭურვილი პირის მოწმობა) და ფორმა N IV-100/ა.

როგორ უნდა მიიღოს ორსულმა რკინის შემცველი პრეპარატი პროგრამის ფარგლებში?

ანემიაზე ეჭვის შემთხვევაში:

- ორსული, მკურნალი ექიმის მითითებით, იტარებს კვლევას რკინადეფიცითური ანემიის დასადგენად;
- რკინადეფიცითური ანემიის დადასტურების შემთხვევაში, ექიმი გამონერს რეცეპტს და შეიტანს შესაბამის ჩანაწერს ფორმა N IV-100/ა-ში;
- ამის შემდეგ ორსულმა ან მისი ნდობით აღჭურვილი პირმა უნდა მიმართოს სააგენტოს ცენტრალურ ოფისს(თბილისში) ან სააგენტოს რეგიონალურ სამსახურებს ქვეყნის მასშტაბით და დარეგისტრირდეს რკინის პრეპარატის მიმღებად;
- რეგისტრაციისათვის ორსულმა ან მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ნდობით აღჭურვილი პირის შემთხვევაში – ორსულისა და ნდობით აღჭურვილი პირის მოწმობა) და ფორმა NIV-100/ა.

როგორ უნდა მიიღოს ორსულმა ფოლიუმის მჟავა პროგრამის ფარგლებში?

- ორსულს ან მის ნდობით აღჭურვილ პირს შეუძლია მიიღოს ფოლიუმის მჟავა ან რკინის პრეპარატი შპს „მედფარმა პლუსის“ კონტრაქტორი აფთიაქების ქსელში მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა (ნდობით აღჭურვილი პირის შემთხვევაში – ორსულისა და ნდობით აღჭურვილი პირის მოწმობა) და რეცეპტის საფუძველზე.
- აფთიაქიდან ერთ ჯერზე გაიცემა ფოლიუმის მჟავის სრული კურსის საჭირო რაოდენობა;
- აფთიაქიდან ერთ ჯერზე გაიცემა რეცეპტში მითითებული რკინის პრეპარატის ერთი თვის საჭირო რაოდენობა.